ცვლილება-დამატებები შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ მომსახურებით სარგებლობის პირობებში

განთავსების თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025წ.

შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის მომსახურებით სარგებლობის პირობების (შემდგომში „უნიქარდის პირობები“) მე-11 მუხლით განსაზღვრული წესით, შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილება-დამატებების შეტანას:

1) **უნიქარდის პირობების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**
„აღდგენის შესაძლებლობის გარეშე პასიური ანგარიშიდან, რომელზეც დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციები არ წარმოებულა ძირითადი და/ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ უკანასკნელად/ბოლოს განხორციელებული დაგროვების/გახარჯვის ტიპის საბარათე ოპერაციიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.
2) **უნიქარდის პირობების 8.2. პუნქტი შეცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**
„მომხმარებელთა ინფორმირებულობის მიზნით მოსალოდნელი ქულების ჩამოწერის შესახებ ინფორმაცია კომპანიის მიერ შესაძლოა განთავსდეს ვებ გვერდზე ან/და აპლიკაციაში.“
3) **უნიქარდის პირობების 8.3. პუნქტი ამოღებული იქნას.**
4) უნიქარდის პირობებიდან ამოღებული პუნქტების შედეგად არეული ნუმერაცია გადაინომროს მათემატიკური თანმიმდევრობით;
5) **შპს ფეი უნიქარდის საერთაშორისო საბარათე ოპერაციებზე უნიქარდის ქულების დაგროვების სერვისი გაუქმებული იქნას.**

- თანახმად უნიქარდის პირობების 11.1. პუნქტისა ამ ბრძანების 1, 2, 3, 4. 5 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის დისტანციური მომსახურების ნებისმიერ არხში (უნიქარდის ვებ გვერდი, მობილური აპლიკაცია) მისი გამოქვეყნების დღის მე-10 კალენდარული დღიდან;
- ცვლილება დამატებების გამოქვეყნებიდან, მისი ძალაში შესვლის მომენტამდე დროის პერიოდი წარმოადგენს მომხმარებლებისათვის წინასწარი შეტყობინების ვადას და ნებისმიერი ცვლილება/დამატება ჩაითვლება მომხმარებლებთან შეთანხმებულად, თუ მომხმარებელი ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს კომპანიას, რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge